250. ბოტულიზმის გადატანის შემდეგ ვითარდება:

- ა) მღვრალი იმუნიტეტი;
- \*ბ) ტიპოსპეციფიური იმუნიტეტი.
- გ) არცერთი.

251. საკვებისმიერი ბოტულიზმის ინკუბაციური პერიოდია:

- \*ა) რამოდენიმე საათიდან 10 დღემდე;
- ბ) 1-2 დღე;
- გ) 2 კვირა და მეტი.

252. რას უჩივის დაავადების დასაწყისში ბოტულიზმით დაავადებული ავადმყოფი:

- \*ა) გულისრევას, პირღებინებას;
- ბ) ხველას;
- გ) სისხლიან, ლორწოვან განავალს;
- დ) გემპერაგურის მომაგებას.

253. რა ცვლილებები არ არის გამოხატული მხედველობის ორგანოს მხრივ ბოტულიზმის დროს:

- ა) გაორება, თვალის წინ ნისლი;
- \*ბ) კონიუნქტივიტი;
- გ) მხედველობის მკვეთრი დაქვეითება;
- დ) ფტოზი;

254. რა ცვლილებები არ გამოვლინდება ნერვული სისტემის დაზიანებისას ბოტულიზმის დროს:

- ა) გაუგებარი მეტყველება, ლულული;
- ბ) ყლაპვის გაძნელება;
- \*გ) კრუნჩხვები და მენინგეალური ნიშნები;
- დ) ღიაფრაგმის ნერვის დამბლა;

255. სიკვდილის ძირითადი მიზეზი ბოტულიზმის დროს:

- \*ა) სუნთქვის უკმარისობა;
- ბ) სისხლძარღვთა უკმარისობა;
- გ) ჰიპოვოლემიური შოკი;

256. ბოტულიზმის გადაცემის მექანიზმი:

- ა) ჰაერ-წყვეთოვანი;
- ბ) გრანსმისიული;
- გ) კონტაქტური;
- \*დ) ალიმენტური.

257. წამყვანი სინდრომები ბოტულიზმის დროს:

- ა) ჰემორაგიული
- \*ბ) პარალიზური;
- გ) გაუწყლოების;
- დ) ჰეპატო-ლიენური.

258. რას ემყარება საბოლოო დიაგნოზი ბოტულიზმის დროს:

- ა) სისხლის საერთო ანალიზს;
- ბ) განავლის კოპროლოგიურ გამოკვლევას;
- \*გ) პირნალების, განავლის, სისხლის და ნარჩენი პროდუქტის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას;

259. რომელ დაავადებასთან არ გარდება დიფ. დიაგნოზი ბოტულიზმის დროს:

- ა) სტაფილოკოკურ ტოქსიკოინფექციებთან;
- ბ) სალმონელოზური და სხვა ტოქსიკოინფექციებთან;
- \*გ) მუცლის ტიფთან;

260. ბოტულიზმის დროს დებინტოქსიკაციის მიზნით არ გამოიყენება:

- ა) რინგერის ლაქტატი;
- ბ) რეოპოლიგლუკინი;

- გ ) პლაზმა და ალბუმინი;
- დ ) გლუკოზის 5-10% ხსნარი;
- \*ე) სისხლი;

261. რა კლინიკური ნიშნებია დამახასიათებელი ბოტულიზმისათვის:

- ა ) ნერწყვის ღენა;
- ბ ) ოფლიანობა;
- გ ) ფსიქიკის დარღვევა;
- \*დ) ყლაპვის მოშლა;
- ე ) ეიფორია.

262. ბრუცელოზი:

- \*ა) ბოთონოზური დაავადებაა;
- ბ ) ანთროპონოზული დაავადებაა;
- გ ) ანთროპოზონოზული დაავადებაა.

263. ბრუცელოზი:

- ა ) ხშირად ქრონიკული მიმდინარეობით ხასიათდება;
- ბ ) პოლიორგანული დამიანებით ხასიათდება;
- გ ) ინფექციურ-ალერგიული ბუნების დაავადებაა;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

264. ბრუცელოზის გამომწვევია:

- ა ) გრამდამდებითი ბაქტერია;
- \*ბ) გრამუარყოფითი ბაქტერია;
- გ ) ვირუსი;
- დ ) სოკო.

265. ბრუცელოზის გამომწვევი გამომიშეშავებს:

- ა ) ეგზოტოქსინს;
- \*ბ) ენდოტოქსინს;
- გ ) არ გამოიშეშავებს არც ეგზო- არც ენდოტოქსინს;
- დ ) გამოიშეშავებს როგორც ეგზო- ასევე ენდოტოქსინს.

266. ბრუცელოზის, როგორც ინფექციის წყაროსა და რეზერვუარს, უპირატესად წარმოადგენენ: (მიუთითეთ არასწორი პასუხი)

- ა ) წყლის ფრინველები;
- ბ ) წვრილი და მსხვილი რქოსანი პირუტყვი;
- \*გ) ადამიანი.

267. რომელია არასწორი ფრაზა. ადამიანისთვის ბრუცელოზის გადაცემის მექანიზმია:

- ა ) ალიმენტური გზა;
- ბ ) აეროგენული გზა;
- \*გ) მესამე პირით გადაცემა;
- დ ) კონტაქტური გზა.

268. ბრუცელოზის კლინიკის წამყვანი სიმპტომია:

- ა ) ლიმფური კვანძების გადიდება;
- ბ ) საერთო სისუსტე და უმადობა;
- \*გ) გემპერაგურა;
- დ ) თავის ტკივილები და უძილობა.

269. რომელია არასწორი მსჯელობა ბრუცელოზის დროს განვითარებული ცხელების შესახებ:

- ა ) მუდმივი, გალღისებური, რემისიული ან სუბფებრილური ხასიათისაა;
- ბ ) აღინიშნება შემცივნებისა და ოფლიანობის თანხლებით;
- \*გ) არ წარმოადგენს დაავადების წამყვან სიმპტომს;
- დ ) მოზრდილ ბავშვებში საერთო მდგომარეობას არ არღვევს.

270. ბრუცელოზის დროს მიახლოება:

- ა ) მხოლოდ ძვალ-სახსროვანი სისტემა, უპირატესად ქვემო კიდურების სახსრები;
- ბ ) მხოლოდ ნერვული სისტემა პლექსიგის, რადიკულიგის, იშიამის და ა. შ. სახით;
- გ ) მხოლოდ კუჭ-ნაწლავის სისტემა, ჰეპატო-ლიენალური სინდრომით;
- დ ) მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემა, როთულ შემთხვევებში კარდიგის განვითარებით;
- \*ე) ხასიათდება პოლიორგანული დამიანებით;

271. აღნიშნეთ არასწორი ფრაზა. ბრუცელოზს ახასიათებს:

- ა ) რეციდივული მიმდინარეობა;
- ბ ) რეციდივებს შორის აპირექსიული პერიოდი;
- \*გ) გემპერაგურული რეაქცია რეციდივებს შორის;



დ) კეროვანი და ალერგიული ბუნების ცვლილებები რეციდივების დროს.

272. ბრუცელაზის აბსოლუტურად დამადასტურებელია:

- ა) ტრიალის: შემცივნების, ცხელების, პროფუზული ოფლიანობის არსებობა;
- \*ბ) ბრუცელების კულტურის მიღება;
- გ) ეპიდემიოლოგიური სიტუაცია.

273. მიუთითებ არასწორი ფრაზა. ბრუცელაზის დროს:

- ა) ანტიბიოტიკოთერაპია ნაჩვენებია მწვავე და ქვემწვავე ფორმებისას;
- ბ) ანტიბიოტიკოთერაპია შეიძლება გაგრძელდეს 3-4 კვირამდე;
- \*გ) ანტიბიოტიკოთერაპია უმრუნველყოფს რეციდივებისა და გამწვავეების თავიდან აცილებას.

274. ბრუცელაზის პროფილაქტიკა ითვალისწინებს:

- ა) სოფლის მეურნეობის ცხოველებში ინფექციის ლიკვიდაციას;
- ბ) საკვები რძის პროდუქტების თერმულ დამუშავებას, პასტერიზაციას;
- გ) ინფექციის კერების დამინფექციას;
- დ) ჯანმრთელ ცხოველებთან ვაქცინაციას;
- \*ე) სწორია ყველა.

275. წითელი ქარის გამომწვევია:

- \*ა) ბაქტერია;
- ბ) პროტოზოა;
- გ) ვირუსი;
- დ) ვირუსი;
- ე) არაინფექციურია.

276. რომელი არასწორი ფრაზა წითელი ქარის დროს:

- ა) ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი;
- ბ) ინფექციის წყაროა სტრუქტოკოკმტარებელი;
- \*გ) დაავადება არაკონტაგიოზურია;
- დ) დაავადების შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს ორგანიზმის თავისებური მიდრეკილება.

277. წითელი ქარის დროს აღნიშნეთ სწორი პასუხი:

- ა) დაზიანების ცენტრალურ ადგილში ექსულატი სტერილურია;
- ბ) გამომწვევის აღმოჩენა შეიძლება დაზიანების პერიფერიაზე;
- გ) დაზიანება შემოსაზღვრულია სასაზღვრო ლილევაკი
- დ) შესაძლებელი მეტასტაზური ჩირქოვანი კერების ჩამოყალიბება;
- \*ე) ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი სწორია.

278. რომელი არ არის წითელი ქარის დამახასიათებელი სიმპტომი:

- ა) ერთდროულად სწრაფი განვითარება;
- ბ) სასაზღვრო ლილევაკის ჩამოყალიბება;
- გ) ლიმფადენიტი;
- \*დ) პერიფერიულ სისხლში ლეიკოპენია ლიმფოპენიით;
- ე) საერთო ინტოქსიკაცია.

279. არასწორია, რომ წითელი ქარის დროს:

- ა) მკურნალობის ასარჩევი პრეპარატია პენეცილინი;
- ბ) მორეციდივე მიმდინარეობისას მიმართავენ ანტიბიოტიკოთერაპიის რამოლენიმე კურსს ფიზიოთერაპიასთან ერთად;
- \*გ) პენიცილინის მიუღებლობის შემთხვევაში ანტიბიოტიკოთერაპია არ ტარდება;
- დ) სპეციფიკური პროფილაქტიკა შემუშავებული არ არის.

280. დიფტერია მწვავე ინფექციაა, რომლის გამომწვევია:

- ა) ვირუსი;
- \*ბ) ბაქტერია;
- გ) ეტიოლოგია უცნობია;
- დ) უმარტივესები;
- ე) პოლიეტიოლოგიურია.

281. დიფტერიის გამომწვევის გალაცემა შესაძლებელია:

- ა) ჰაერ-წვეთოვანი გზით;
- ბ) კონტაქტური გზით;
- გ) მესამე პირის მეშვეობით
- \*დ) ყველა შემთხვევაში

282. დიფტერიის გამომწვევს ჩხირებს შეუძლიათ გამოიმუშაონ:

- ა) ენდოტოქსინი;
- \*ბ) ეგზოტოქსინი;

- გ) არც ერთს არ გამოიშუშავენ;
- დ) გამოიშუშავენ როგორც ეგზო- ასევე ენდოტოქსინს.

283. ლიფტერიას ახასიათებს:

- ა) სემონურობა;
- ბ) ხანგრძლივი იმუნიტეტი;
- გ) ავადობის დაბალი მაჩვენებელი აქტიური იმუნიზაციის ფონზე;
- \*დ) ყველა სწორია.

284. ლიფტერიისას:

- ა) კლინიკური ფორმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია გამომწვევის შეჭრის ადგილი;
- ბ) დამახასიათებელი ნაღების არარსებობა ეპიდსიგნალისას არ გამოირიცხავს დიაგნოზს;
- გ) ყველაზე უფრო ხშირი ლოკალიზაციაა ნუშურებზე, სასის რკალებზე, ნაჩზე;
- დ) გამომწვევი შეიძლება იყოს როგორც (tox+), ასევე (tox-) შტამები;
- \*ე) ყველა სწორია.

285. არასწორია განმარტება, რომ:

- ა) ლიფტერიის ნაღები ფიბრინულია;
- \*ბ) ლიფტერიის გავრცელებული ფორმებისას ნაღები ლოკალიზდება ნუშურებზე;
- გ) ლიფტერიული ანთების ორგანიზებული ფიბრინული ნაღები მოშორებისას სისხლმდენია;
- დ) ლიფტერიას ახასიათებს გოქსიკური ლიმფადენიტი და ქსოვილთა შეშუპება.

286. ლიფტერიის იშვიათი ლოკალიზაციის ადგილებია:

- ა) ხორხი და გრაქეა
- \*ბ) თვალი;
- გ) ნუშურები, სასის რკალები და ნაჩი

287. ლიფტერიის კლასიკურ მიმდინარეობას არ ახასიათებს:

- \*ა) ავტობური სტომატიტი;
- ბ) კანქვეშა ქსოვილების შეშუპება;
- გ) ლორწოვან გარსებზე "+ქსოვილის" განვითარება;
- დ) ნაღების განვითარება დაავადების პირველ საათებში;

288. რა შემთხვევაში არ ვითარდება ლიფტერიული ნაღები:

- ა) თვალის ლიფტერიისას;
- \*ბ) კატარული ფორმის ლიფტერიისას;
- გ) ხახის ლიფტერიის ლოკალური ფორმისას;
- დ) ხორხის ლიფტერიისას;
- ე) ხახის გოქსიკური ლიფტერიისას.

289. ნებისმიერი ლოკალიზაციის ღროს ლიფტერიის კარდინალურ სიმპტომად ითვლება:

- ა) ცხელება;
- ბ) ქსოვილთა შეშუპება;
- \*გ) შეჭრის ადგილას ფიბრინული ნაღების ორგანიზაცია;
- დ) ტკივილი შეჭრის ადგილას;
- ე) მიოკარდიტის, პოლირადიკულონევრიტების ან ნეფროზის განვითარება.

290. რა არ ახასიათებს ფიბრინულ ნაღებს ლიფტერიისას:

- ა) მორუხო-ჭუჭყისფერია;
- ბ) ლორწოვანზე მდებარეობს პლუს ქსოვილის სახით;
- გ) არ ისრისება ორ სასაგნე მინას შორის;
- \*დ) ნუშურებზე განვითარებისას ლაკუნებშია ჩამჯდარი საცობების სახით;
- ე) ლორწოვანს ძნელად შორდება და სისხლმდენია.

291. ხახის ლიფტერიისათვის კლინიკურად დამახასიათებელი არის:

- ა) მოგალი ინგოქსიკაცია;
- ბ) დამახასიათებელი ნაღების განვითარება;
- გ) ყელის ტკივილი;
- დ) ნუშურების ჰიპერემია და შეშუპება;
- \*ე) ყველა შემოხამოთელილი

292. გოქსიკური ლიფტერიისას:

- \*ა) კისრის კანქვეშა ქსოვილების შეშუპება;
- ბ) შეშუპებული ქსოვილები მკვრივია და მკვეთრად მტკივნეული;
- გ) შეშუპება არ ვითარდება
- დ) შეშუპებული ქსოვილები მკვეთრად ციანობურია;

293. ლიფტერიული კრუპისათვის დამახასიათებელი არ არის:

- \*ა) ელვისებური მიმდინარეობა, ჰექტიური ტემპერატურა;
- ბ) ხმის ჩახლენა და უხეში, "მყეფავი" ხველა;
- გ) ნელი პროგრესირება;
- დ) პარადოქსული პულსის განვითარება;

294. დიფტერიისას ლეგალობის მაღალ პროცენტს ძირითადად განაპირობებს:

- ა) ნეფროზი;
- \*ბ) მიოკარდიტი;
- გ) პოლირადიკულონევრიტი;
- დ) დიფტერიული კრუპი;
- ე) ავადმყოფთა მცირე ასაკი.

295. დიფტერიული მიოკარდიტისათვის პროგნოზულად ყველაზე არაკეთილსაიმედო ნიშანია:

- ა) ტაქიკარდია და ტონების მოყრუება;
- ბ) ექსტრასისტოლები;
- გ) არტერიული წნევის დაქვეითება;
- \*დ) გამტარებელი სისტემის ბლოკადები და ბრადიკარდია;
- ე) გულის საზღვრების გაღილება.

296. დიფტერიული პოლირადიკულონევრიტისათვის არაა დამახასიათებელი:

- ა) როგორც აღრეულ, ასევე მოგვიანებით პერიოდში განვითარება;
- ბ) პერიფერიული ღუნე დამბლები;
- გ) გამოჯანმრთელებისას ფუნქციის სრული აღდგენა;
- \*დ) ჰიპერრეფლექსია.

297. დიფტერიის პროგნოზს განსაზღვრავს:

- ა) დროული ანტიბიოტიკოთერაპია;
- ბ) ანტიტოქსინის აღრეული შეყვანა;
- გ) ადეკვატური სიმპტომური თერაპია;
- \*დ) ანტიტოქსინის აღრეული შეყვანა და ანტიბიოტიკოთერაპია.

298. დიფტერიული კრუპის დროს პირველადი ტაქტიკაა:

- ა) ანტიბიოტიკის შეყვანა და ინტუბაცია;
- ბ) ანტიბიოტიკის შეყვანა და ეპინეფრინის ინჰალაცია;
- \*გ) ანტიდიფტერიული შრაგის შეყვანა და ეპინეფრინის ინჰალაცია;
- დ) კორტიკოსტეროიდების შეყვანა;
- ე) კორტიკოსტეროიდების შეყვანა და ინტუბაცია.

299. დიფტერიისას სასტარტო ანტიმიკრობულ საშუალებას წარმოადგენს:

- ა) ამინოგლიკოზიდები;
- ბ) ლევომიცეტინი;
- \*გ) პენიცილინი;
- დ) ქინოლონები;
- ე) ანტიმიკობური პრეპარატები.

300. ჰემოფილური ინფექციის გამომწვევია:

- ა) გრიპის ვირუსი;
- ბ) სტრეპტოკოკი;
- გ) სტაფილოკოკი;
- \*დ) შფეიფერის ჩხირი.

301. ჰემოფილური ინფექციის შეჭრის ადგილია:

- \*ა) ზემო სასუნთქი გზები;
- ბ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტი;
- გ) კანის საფარველი;

302. ჰემოფილური ინფექციის გამომწვევი:

- ა) გრამდადებითი კოკია;
- ბ) გრამუარყოფითი ჩხირია;
- გ) გრამდადებითი ჩხირია;
- \*დ) გრამუარყოფითი ჩხირი ან კოკობაცილაა.

303. ჰემოფილური ინფექციის კლინიკური ფორმებია:

- ა) მენინგიტი;
- ბ) ოტიტი;
- გ) ეპიგლოტიტი;
- დ) ცელულიტი;
- \*ე) ყველა სწორია.

304. თანამედროვე მიმდინარეობისას ქუნთრუშას არ ახასიათებს:

- \*ა) მორეციდივე მიმდინარეობა;
- ბ) ინფექციურ-ტოქსიური შოკი;
- გ) ნუშურებზე ნაღების არ არსებობა;
- დ) აქერცვლა გამონაყრის შემდეგ;
- ე) ექსტრაბუკალური ფორმის არსებობა.

305. ქუნთრუშისთვის გიპიური სინდრომი არ არის:

- ა) ცხელება;
- ბ) ანგინა;
- გ) წერილწერტილოვანი გამონაყარი;
- \*დ) კეფის ლიმფადენიტი;
- ე) ნეიტროფილური ლეიკოციტოზი სისხლში.

306. ქუნთრუშისთვის არ არის დამახასიათებელი:

- ა) მწვავე დასაწყისი;
- ბ) მაღალი ცხელება;
- \*გ) გამონაყრის განვითარება დაავადების მე-5-6 დღეზე;
- დ) ნუშურების დაზიანება;
- ე) ყბისქვეშა ლიმფადენიტი.

307. ნაწლავთა იერსინიოზის გამომწვევი მიეკუთვნება:

- ა) გრამდადებითი ჩხირები;
- \*ბ) გრამუარყოფითი ჩხირები;
- გ) გრამდადებითი კოკები;
- დ) ვირუსი.

308. იერსინიოზი:

- ა) ანთროპონოზული დაავადებაა;
- ბ) ზოონოზური დაავადებაა;
- \*გ) ანთროპოზოონოზური დაავადებაა.

309. იერსინიოზის გამომწვევი მიკრობები მდგრადები არიან:

- ა) მაღალი ტემპერატურის მიმართ;
- \*ბ) დაბალი ტემპერატურის მიმართ;
- გ) სალემინფექციო ხსნარების მიმართ;
- დ) ანტიბიოტიკების მიმართ.

310. ნაწლავთა იერსინიოზი მიმდინარეობს:

- ა) ლოკალური ფორმით;
- ბ) გენერალიზებული ფორმით;
- გ) სუბკლინიკურად;
- დ) ლატენტური ფორმით;
- \*ე) ლოკალური და გენერალიზებული ფორმით;

311. ნაწლავთა იერსინიოზისათვის დამახასიათებელია:

- ა) ცხელება;
- ბ) ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენები;
- გ) ჰეპატო-ლიენალური სინდრომი;
- დ) ლებინება, მუცლის ტკივილი, დიარეა;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;

312. გეტრაციკლინის დანიშვნის ჩვენებაა:

- ა) გრიპი;
- ბ) ლეგიონელოზი;
- გ) დიფთერია;
- დ) კვებითი ტოქსიკოინფექციები;
- \*ე) ორნითოზი.

313. ნაწლავთა იერსინიოზს იწვევს:

- \*ა) Y. enterokolitika;
- ბ) Y. pseudotuberculosis;
- გ) Y. pestis.

314. ნაწლავთა იერსინიოზის დროს დიფ. დიაგნოზი არ გარდება:

- ა) ფსევდოტუბერკულოზთან;
- ბ) ქუნთრუშასთან;

- გ ) ენტეროვირუსულ ინფექციასთან;
- დ ) სეფსისთან, ჰეპატიტთან;
- \*ე) ლიფტერიასთან.

315. სპეციფიური იმუნოგლობულინი რომელი ჩამოთვლილი დაავადებების დროს გამოიყენება:

- ა ) ამებიოზის;
- ბ ) ლეგიონელოზის;
- \*გ) ტეტანუსის;
- დ ) ინფექციური მონონუკლეოზის;
- ე ) მალარიის.

316. ყივანაზველა მწვავე რესპირაციული ინფექციაა, რომელსაც ახასიათებს ძირითადად:

- ა ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება;
- \*ბ) ნერვული სისტემის დაზიანება და თავისებური შეტევითი ხველა;
- გ ) სახსრების დაზიანება;
- დ ) ტიპური გამონაყარი და ზოგადი ინტოქსიკაცია.

317. ყივანაზველას გამომწვევია:

- ა ) გრამდადებითი ბაქტერია;
- \*ბ) გრამუარყოფითი ბაქტერია;
- გ ) ვირუსი;
- დ ) უმარტივესი.

318. ყივანაზველის ტიპურ გართულებას არ წარმოადგენს:

- \*ა) მიოკარდიტი;
- ბ ) შუასაყრის და კანქვეშა ემფიზემა;
- გ ) თვალის ბალერაში და გვინში სისხლჩაქცევა;
- დ ) პნევმონია ;
- ე ) მოგვიანებით მეორადი ბრონქოექტაზები.

319. ყივანაზველას გამომწვევი გადამცემა:

- \*ა) ავადმყოფის მიერ;
- ბ ) მესამე პირის მიერ;
- გ ) მონონოზური გზით.

320. ყივანაზველას დროს დაინფიცირების მექანიზმი:

- ა ) ჰემატოგენური;
- \*ბ) ჰაერ-წვეთოვანი;
- გ ) საკვებისმიერი.

321. რომელია სწორი ფრაზა ყივანაზველას დროს:

- ა ) ბაქტერიემია დამახასიათებელი არ არის;
- ბ ) გამომწვევი ბრონქოგენური გზით ვრცელდება წვირულ ბრონქებში, ბრონქიოლებსა და ალვეოლებში;
- გ ) დაავადების განვითარებაში წამყვანი როლი ენიჭება ეგზოტოქსინს;
- \*დ) ყველა სწორია.

322. რომელია სწორი ფრაზა ყივანაზველას დროს:

- ა ) დაავადების უკუგანვითარებისას ნელ-ნელა ქრება თავის გვინში არსებული აგზნების კერა;
- ბ ) ხველის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს ყივანაზველას ჩხირების ალერგიული მოქმედება;
- გ ) ძლიერ გამდიბიანებლებს სხვადასხვა რეცეპტორული უბნიდან შეუძლიათ დროებით ჩაახშონ ან შეასუსტონ ხველა;
- \*დ) ყველა მოსაზრება სწორია.

323. ნეიგროპენია წარმოადგენს ზოგიერთი მიკრობით ინფიცირების მაღალ რისკს, გარდა :

- ა ) სტაფილოკოკებისა;
- ბ ) *Pseudomonas aeruginosa*-სი;
- გ ) გრამუარყოფითი ჩხირების;
- \*დ) პნევმოკოკის;
- ე ) *Candida spp.*

324. ყივანაზველას სპაზმური ხველის დროს:

- ა ) ავადმყოფს დამახასიათებელი სახე აქვს;
- ბ ) აღინიშნება რეპრიმები;
- გ ) მაღალი ტემპერატურა, ჩვეულებრივ, გართულებაზე მიუთითებს;
- დ ) რეპრიმების რაოდენობა დაავადების სიმძიმეზე მეტყველებს;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

325. რომელია არასწორი ფრაზა ყივანაზველას დროს:

- \*ა) ყივანაზველას ყველა ფორმას სპაზმური ხველა ახასიათებს;

- ბ) სპაზმური ხველის სისშირე, რეპრიმების რიცხვი და აპნოე დაავადების სიმძიმეზე მეტყველებს;
- გ) ყვიანახველას დროს პნევმონიის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც *B. pertussis*, ასევე მეორადი ინფექცია;
- დ) ყველა ფრაზა სწორია.

326. წლამდე ასაკის ბავშვებში ყვიანახველას დროს:

- ა) როგორც ინკუბაციური ასევე კატარული მოვლენები უფრო ხანმოკლეა, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვებში;
- ბ) კლინიკური სურათი შეიძლება უშუალოდ სპაზმური ხველით დაიწყოს;
- გ) დაავადება ხშირად მძიმე ფორმით მიმდინარეობს;
- დ) უფროსი ასაკის ბავშვებთან შედარებით უფრო ხშირია აპნოე და კრუნჩხვები;
- \*ე) ყველა ფრაზა სწორია.

327. სპაზმური ხველის სიმძიმისა და სისშირის შემცირებისათვის ყვიანახველას განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების დროს მიმართავენ:

- ა) კორტიკოსტეროიდებს;
- ბ) ბეტა-2-მიმეტიკურ საშუალებებს;
- გ) ხველის მაპროვოცირებელი ფაქტორების მოცილებას;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

328. რომელია არასწორი განმარტება. ყვიანახველას დროს პროგნოზის სერიოზულობას განსაზღვრავს:

- ა) ავადმყოფის მცირე ასაკი (5 თვემდე);
- ბ) ფილტვების მხრივ გართულებები;
- გ) ტვინის ჰიპოქსია და კრუნჩხვები;
- \*დ) ინფექციის გადაცემა ყვიანახველას მძიმედ მიმდინარე ფორმებით დაავადებულისაგან;
- ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

329. რომელია სწორი შეხედულება ყვიანახველას დროს:

- ა) სპეციფიკური პროფილაქტიკისათვის საკმარისია მხოლოდ ვაქცინაცია;
- \*ბ) სპეციფიკური პროფილაქტიკა გულისხმობს როგორც ვაქცინაციას, ასევე რევაქცინაციას;
- გ) სპეციფიკური პროფილაქტიკა არ ტარდება ტრანსპლაცენტალურად მიღებული იმუნიტეტის გამო;
- დ) კონტაქტის შემთხვევაში ვაქცინაცია არ ტარდება.

330. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მისი გამომწვევია *Neisseria gonorrhoeae*;
- \*ბ) მისი გამომწვევია *Neisseria meningitidis*;
- გ) მისი გამომწვევია *S. pyogenes*;
- დ) მისი გამომწვევია *S. aureus*;
- ე) მისი გამომწვევია *M. pneumoniae*.

331. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ინფექცია ხასიათდება კლინიკური პოლიმორფიზმით;
- ბ) დაავადების ფორმები ვლინდება მენინგიტის და მოკით მიმდინარე ელვისებური მენინგოკოკური სეფსისის სახით;
- გ) დიპლოკოკი პირველად აღმოაჩინა იქნა თავმურგგვინის სითხიდან;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

332. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მისი გამომწვევია მომრგვალო ან ოვალური ფორმის 0,6-0,8 მკმ. ზომის უძრავი დიპლოკოკია;
- \*ბ) მისი გამომწვევია წარმოქმნის ცისტებს, რომელიც ბინაღრობს ნიადაგში;
- გ) მენინგოკოკები ნაცხში ვლინდება ყავის ან ლობიოს მარცვლის მსგავსად და გიპიურ შემთხვევაში განლაგებულნი არიან წყვილად უჯრედში ან მის გარეთ;

333. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) მენინგოკოკური აერობი ან ფაკულტატური ანაერობი;
- ბ) მენინგოკოკი ნიადაგში მობინარე ობლიგატური ანაერობია;
- გ) მენინგოკოკი ფაკულტატური ანაერობია.

334. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) მენინგოკოკი ხასიათდება გარემოში დაბალი რემისგენტობით;
- ბ) ინფექციის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ გენერალიზებული ინფექციით დაავადებული ადამიანი;
- გ) ინფექციის წყაროს წარმოადგენს ფრინველები, ადამიანი, მღვის გოჭი;
- დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

335. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ინფექციის წყაროა ადამიანი (ეს ანთროპონოზული ინფექციაა), რომლითაც აღინიშნება დაავადების გენერალიზებული ფორმა, ნაზოფარინგიტი ან მენინგოკოკის მტარებლობა;
- ბ) ავადმყოფი ყველაზე მეტად გადაცემა დაავადების დასაწყისში, როცა აღინიშნება გამოხატული კატარული მოვლენები პირხახის მხრივ;
- გ) მენინგოკოკური ნაზოფარინგიტით დაავადებული უფრო საშიშია, ვიდრე ჯანმრთელი მტარებელი ადამიანი გადამდებლობის თვალსაზრისით;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული.

336. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) 3 თვემდე ასაკის ბავშვებში ამ ინფექციით იშვიათად ავადდებიან, თუმცა აღწერილია შემთხვევები ახალშობილებშიც, შესაძლებელია ნაყოფის ინფიცირება;
- ბ) 3-8 თვის ასაკიდან სისხლში უკვე აღარ აღინიშნება მენინგოკოკების საწინააღმდეგო პასიურად მიღებული ანტისხეულები, ხოლო შემდგომში თანდათან ხდება მათი მომაგება;
- გ) მენინგიტის დროს არის სინათლის შიში, ჰიპერესთეზია, ჰიპერაკუზია;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

337. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) დაავადების დიდი პროცენტი მოდის ქალაქის მაცხოვრებლებზე;
- \*ბ) დაავადება უფრო გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში;
- გ) სოფლის მაცხოვრებლის მოხვედრისას მაღალი მტარებლობის კოლექტივში დაავადება ვითარდება სწრაფად და მძიმე ფორმებით;
- დ) მენინგოკოკური ინფექციის აფეთქებები აღინიშნება 10-15 წლის ინტერვალით;

338. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) გენერალიზებულ ფორმებს ხშირად წინ უძღვის გრიპოზული, ჰერპესული ინფექცია, კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილებები, ტრავმა.
- ბ) ჰიპერგოქსიკური (ელვისებური) მენინგოკოკემიის პათოგენეზში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ორგანიზმის ჰიპერსენსიბილიზაციას და მისი რეაქტიულობის ცვლილებას (აუტოალერგიული პროცესები);
- გ) მენინგოკოკემიას თან სდევს მენინგოკოკების მასიური დაშლა და მძიმე გოქსიკური პროცესის ჩამოყალიბება, განსაკუთრებით, ელვისებური ფორმის დროს, რომელიც ინფექციურ-გოქსიკური შოკის სინდრომით მიმდინარეობს;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

339. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგების სინდრომის დროს წვრილ ვენებსა და არტერიოლებში ვითარდება თრომბები;
- ბ) დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედეგების სინდრომის დროს გამოხატულია მეტაბოლური ღრმა ღარღვევები-ჰიპოქსია, აცილოზი, ჰიპოკალიემია და სხვა;
- \*გ) ორივე ზემოაღნიშნული

340. რა არის სწორი მენინგოკოკემიის შემთხვევაში?:

- ა) დაავადების დასაწყისში ვითარდება ჰიპოკოაგულაცია;
- \*ბ) დაავადების დასაწყისში ვითარდება ჰიპერკოაგულაცია (ფიბრინოგენისა და სხვა შემადგენელი ფაქტორების მომაგებით), რამაც შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს წვრილ სისხლძარღვებში ფიბრინის დალექვა და თრომბების განვითარება;
- გ) მსხვილი სისხლძარღვების თრომბოზის დროს არ შეიძლება განვითარდეს თითების, კიდურების განგრენა.

341. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ჰიპოკოაგულაციის შემდეგ ვითარდება ჰიპერკოაგულაციის ფაზა;
- \*ბ) ხანმოკლე ჰიპერკოაგულაციის შემდეგ ვითარდება ჰიპოკოაგულაციის ფაზა, რის შედეგადაც ადგილი აქვს ფიბრინის შემცველობის დაქვეითებას სისხლში (მოხმარების კოაგულოპათია), რაც ხშირად სხვადასხვა ქსოვილებსა და ორგანოებში სისხლდენის და სისხლჩაქვევების მიზეზია;
- გ) რიგ შემთხვევებში მენინგოკოკემია მიმდინარეობს ყივანახველას სინდრომის მსგავსად.

342. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგიტის დროს შეიძლება მოხდეს პარაკუჭების ჩათრევა პათოლოგიურ პროცესში და განვითარდება ეპენდიმატიტი;
- ბ) ძლიერი გოქსიკოსის შედეგად შეიძლება განვითარდეს გვინის მწვავე შეშუპება;
- \*გ) გვინის შეშუპებამ არ შეიძლება განაპირობოს გვინის ცლომა დიდ ხერხეღში ნათხემის დანაშაგის გაჭედვით;

343. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) გვინის შეშუპების დროს მოგრძო გვინზე გეწოლის შედეგად შეიძლება განვითარდეს სუნთქვისა და სისხლძარღვთა მარეგულირებელი სასიცოცხლო ცენტრების დაზიანება;
- \*ბ) მძიმე მენინგიტის დროს მცირე ასაკის ბავშვებში არ ვითარდება ცერებრული ჰიპოტენზია (ცერებრული კოლაფსი);
- გ) ცერებრული კოლაფსის დროს გენებში წამყვანი როლი ეკუთვნის წყალ-მარილოვანი ბალანსის დარღვევას;

344. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ცერებრული კოლაფსი ხელს უწყობს სუბარაქნოიდულ სივრცეში ექსუდაგის გაჯონვას;
- ბ) ჩირქოვანი ექსუდაგის უკუგანვითარებისას არახელსაყრელ პირობებში (მაგ. არასწორი მკურნალობა). შეიძლება განვითარდეს შემაერთებული ქსოვილით ჩირქის კონსოლიდაცია;
- \*გ) კონსოლიდირებულ ჩირქს არ შეუძლია მკეანდის და ლუშკის ხერხელების დაზიანება, ხოლო გამორიცხულია სილივის წყალსადენის დაზიანება;

345. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) თავის ქალაში სითხის მიმოქცევის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიდროცეფალიის წარმოშობა;
- ბ) სულფანილამიდებითა და ანტიბიოტიკებით მკურნალობამდე მენინგოკოკური მენინგიტი მდგრადი სიყრუის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო;
- \*გ) პერიფერიული სისხლის მხრივ ადგილი აქვს ლეიკოპენიას და ნეიტროფილოზს, მარჯვნივ გაღაზრით, ელს-ის მომაგებით;
- დ) ახალშობილებში მენინგოკოკური ინფექცია აღინიშნება მკვეთრად გამოხატული მენინგეალური სინდრომით;
- ე) ყველა არასწორია

346. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ახალშობილებში მენინგოკოკური მენინგიტი აღინიშნება იშვიათად, თუმცა ეპიდ.აფეთქებებს ადგილი შეიძლება ჰქონდეს სამშობიაროში, მომეღელი პერსონალის ბაქტერიამტარბლობის დროს;
- \*ბ) ინკუბაციური პერიოდი უდრის 15-20 დღეს (მაქსიმუმ 30 დღე).;
- გ) ინკუბაციური პერიოდი უდრის 6-7 დღეს (იშვიათად 20 დღემდე).;

347. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკური ინფექციის მიმდინარეობის ცალკეული ფორმები შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო სიმძიმის, მძიმე და ძლიერ მძიმე;
- \*ბ) მენინგოკოკური ნაზოფარინგიტი არ შეიძლება იყოს ჩირქოვანი მენინგიტის, მენინგოკოკემიის პროდრომული სტადია;
- გ) ნაზოფარინგიტი მენინგოკოკური ინფექციის ყველაზე ხშირი ფორმაა და გვხვდება 80%-ში;

348. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკური პნევმონია როგორც პიველადი, ვითარდება იმპლირებულიათაც, სხვადასხვა ფორმების გარეშეც, მას ხშირად ახასიათებს პლევრიტი, იგი მიმდინარეობს ხანგრძლივად და მძიმედ;
- ბ) მენინგოკოკური მენინგიტი შეიძლება განვითარდეს ერთროულად მენინგოკოკემიასთან ერთად;
- გ) მენინგიტი შეიძლება განვითარდეს როგორც ცალკე კლინიკური ფორმა;
- დ) წლამდე ასაკის ბავშვებში მენინგიტი იწყება უფრო თანდათან, ვიდრე მოზრდილებში, სადაც დაავადება იწყება უეცრად;
- \*ე) ყველა შემთხვევაში აღინიშნული.

349. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ენდოტოქსინური შოკი ხასიათდება უეცარი დაწყებით, მძაფრი მიმდინარეობით, შემცივნებით, t სწრაფი მაგებით 40-41 გრადუსამდე C, მაგრამ შემდგომში ვითარდება ჰიპოთერმია;
- ბ) მენინგიტის დროს ავადმყოფი ხშირად უჩივის თავის ძლიერ შეუპოვარ ტკივილს სხვადასხვა ლოკალიზაციით (შუბლი, საფეთქელი, კეფა).;
- გ) მენინგოკოკემიის დროს გამონაყარი ვითარდება 5-20 საათში;
- \*დ) ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი.

350. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) აღრეული ასაკის ბავშვებში მენინგიტის დროს ხშირია კლონური ხასიათის კრუნჩხვები;
- ბ) მოზრდილებში კრუნჩხვებს ადგილი აქვს დაავადების მძიმე მიმდინარეობის დროს;
- გ) თუმცა დაავადების პირველსავე დღეს შეიძლება გამოვლინდეს მენინგეალური მოვლენები, სიმპტომები უფრო მეტად მეორე-მესამე დღესაა გამოხატული;
- დ) მენინგიტის დროს ყველაზე უფრო ხშირია კისრისა და ზურგის კუნთების რიგილობა, კერნინგის, ბრუძინსკის (მელა, შუა, ქვედა). სიმპტომები;
- \*ე) ყველა შემთხვევაში აღინიშნული.

351. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგიტის დროს გონების დაკარგვა პირველ საათებში პროგნოზულად არ არის საშიში;
- \*ბ) მენინგიტის დროს დამახასიათებელი ავადმყოფის პოზა -წევს გვერდზე, უკან გაღებული თავით, ქვედა კიბურები კი მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებშია მოხრილი ("მეძებარი ძაღლის" პოზა, შეყენებული ჩახმახის პოზა).;
- გ) წლამდე ასაკის ბავშვებში დაავადება მიმდინარეობს მსუბუქად და პროგნოზი კარგია.

352. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) წლამდე ასაკის ბავშვებში მენინგეალური ნიშნები ნაკლებადაა გამოხატული, სახეზეა უფრო ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნები გრემორი, უმიზეზო გირილი, კრუნჩხვები, ამობურცული, დაჭიმული და პულსირებადი ყიფლიბანდი;
- ბ) ყიფლიბანდი მენინგიტის დროს შეიძლება იყოს ჩაფარდნილი მასიური ლეჰიდრაგაციისა და ბენზილპენიცილინის კალიუმის მარილით მასიური მკურნალობის დროს;
- გ) ბევრ ბავშვს დაავადების მე-3-4 დღეს აღინიშნება ჰერპესული გამონაყარი;
- \*დ) ყველა სწორია

353. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) მენინგიტის დროს დაავადების პირველ საათებში თავზურგტვინის სითხე გამჭირვალეა ან ოპალესცირებს;
- ბ) შემდგომ დღეებში თავზურგტვინის სითხე მკურნალობის გარეშე სეროზული ხდება და ციგომი 100უჯრედამდე 1 მკლ-ში აღწევს;
- გ) შიდა წნევა მენინგიტის დროს არის არააღებული;
- დ) მაღალი წებოვნების დროს პუნქტაგის სითხე გამოდის დიდი წნევით, ნაკალურათ.

354. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) მენინგიტის მძიმე ფორმების დროს ლუმბალურ პუნქტაგში ცილა პრაქტიკულად არ არის;
- ბ) ეპენდიმატიტი შეიძლება განვითარდეს მძიმე მენინგეალური მენინგიტის დროს;
- გ) ეპენდიმატიტი ხასიათდება ძილიანობით, ცნობიერების მდგრადი და პროგრესირებადი დარღვევით, სოპორით, კომით, თისსტოტონუსით, კრუნჩხვებით, შემდგომში ქალის ნაკერების დაშორებით და ჰიდროცეფალით;

355. ინფექციურ-ტოქსინური შოკით გართულებული მენინგოკოკემიის დროს არ ინიშნება:

- ა) კორტიკოსტეროიდები;
- ბ) ღოპამინი;
- \*გ) ანტიბიოტიკი კუნთებში;
- დ) კრიოპლაზმა;



ე) ჰაესტერილი – ჰესი.

356. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) ეპენდიმატიტისათვის დამახასიათებელია ოპსიგოტონუსი, გამწვანებული ქვედა კიდეები "ბალერინის გერეებით", ხშირად ფეხები გადაჯვარედინებულია, ხელები კი მოხრილია იდაყვის სახსრებში, თითები შეკრულია მუშგებად;
- ბ) ეპენდიმატიტის დროს ხდება ფსიქომოტორული დარღვევების სრული აღდგენა და ავადმყოფს აქვს მიდრეკილება წონის სიჭარბისაკენ;
- გ) მენინგიტის დროს ლიქვორში პირველ დღეებში ხშირად ნახულობენ N. gonorrhoea.

357. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკური მენინგოენცეფალიტი გვხვდება უპირატესად მცირე ასაკის ბავშვებში;
- ბ) მენინგოკოკური მენინგოენცეფალიტის დროს დომინირებს ენცეფალიტური მოვლენები;
- გ) მენინგოკოკური მენინგოენცეფალიტის დროს ვითარდება კიდეების, თავის ქალის ნერვების პარეზი და დამბლები, ნათხემური ატაქსია, თვალის მოძრაობის დარღვევა და სხვა;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

358. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) მენინგოენცეფალიტის დროს სისხლსა და ცერებრულ სითხეში ცვლილებები იგივეა, რაც მენინგიტის დროს;
- ბ) მენინგოკოკემია მენინგოკოკური სეფსისია, რომელიც ხშირად მიმდინარეობს პროცესის ქრონიზაციით;
- გ) მენინგოკოკემია გვხვდება უპირატესად ასაკოვან პერიოდში;
- დ) მენინგოკოკემია, ჩვეულებრივ, იწყება ღუნელ, t-ის მომაგებით 37,5-38 გრადუსამდე.

359. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ინფექციურ-ტოქსიკური შოკის დროს გემპერატურა აღწევს განსაკუთრებით მაღალ ციფრებს (40-41 გრადუსი), რაც შემდგომში ჰიპოთერმიით შეიძლება შეიცვალოს;
- ბ) მენინგოკოკემიის დროს ჰიპერთერმიას ერთვის შემცირება, განმეორებითი ღებინება, თავის ძლიერი ტკივილი;
- გ) მენინგოკოკემიის დროს ადრეული ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია გირილი გამყინავი ხმით, ზოგჯერ გონების დაკარგვა, კუნთების ტკივილი, ზოგადი სისუსტე;
- \*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული;

360. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკემიის დროს განზე პირველ საათებში ან დღეებში ჩნდება ჰემორაგიული გამონაყარი;
- ბ) ჰემორაგიული გამონაყარი განსაკუთრებით გამოხატულია ქვედა კიდეებზე, ღუნულებზე, ბარძაყის უკანა და წვივების ზედაპირზე, ქუთუთოებზე, სკლერებზე;
- \*გ) ჰემორაგიული გამონაყარი ჩნდება ყველა ადგილებში ერთდროულად;

361. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) ჰემორაგიული გამონაყარის უკუგანვითარება არ არის დამოკიდებული კანის დამბინების სიდიდეზე;
- ბ) ჰემორაგიული გამონაყარი ყოველთვის სრული გაქრობით ხასიათდება;
- \*გ) ჰემორაგიული გამონაყარის შედეგად შესაძლებელია ნეკროზების განვითარება და მძიმე შემთხვევებში გერფის, ყურის ბიბილოს, თითის განგრენის განვითარება მკვლარი ქსოვილების შემდგომში მოცილებით.

362. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- \*ა) ელვისებური მენინგოკოკემია მენინგოკოკური ინფექციის ყველაზე რთული ფორმაა და უმძიმესი პროგნოზით ხასიათდება;
- ბ) ელვისებურ ფორმას უწოდებენ ქვემწვავე სეფსისს,
- გ) არც ერთი ზემოთ აღნიშნული.

363. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკემიის დროს შეიძლება განვითარდეს შოკური თირკმელი;
- \*ბ) მცირე ასაკის ბავშვებში 90%-ში შეიძლება განვითარდეს სახსრების ანთება და აქტიური მოძრაობის შემღუღვა;
- გ) პოლიართრიტის გამო ავადმყოფები ფეხზე ხშირად ვერ დგებიან;

364. გვინის შეშუპების დროს რა არის ნაჩვენები:

- \*ა) სალურეტიკი, ოსმოდურეტიკი;
- ბ) კორტიკოსტეროიდები;
- გ) კატექოლამინები;
- დ) პოლივინილპირილიდონები;

365. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ? თავის გვინის შეშუპების სიმპტომებად ითვლება:

- ა) თავის მკვეთრი ტკივილები;
- ბ) განმეორებითი ღებინება;
- გ) გაბრუება, მოგორული აგზნება;
- დ) კლონურ-ტონური კრუნჩხვები, გუგების შევიწროვება, გაფართოება, ანიზოკორია, სიელმე, ნისტაგმი;
- \*ე) ყველა ზემოთ აღნიშნული;

366. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

- ა) მენინგოკოკემიის დროს ოპტიკალური სალიანგოსტიკო დროდ ითვლება დაავადების დაწყებიდან პირველი 12 საათი;
- ბ) მენინგიტის დროს ლიანგოსტიკაში გაღამწყვეტი როლი ენიჭება ლუმბალურ პუნქციას;
- გ) მენინგიტის დროს პუნქტატი ჩირქოვანი ხასიათისაა, ციგომი ნეიგროფილურია და ძალიან მაღალი;

\*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული.

367. თირკმლის მწვავე უკმარისობის სამკურნალოდ გამოიყენება:

ა) პოლითონური ხსნარები;

\*ბ) გლუკოზის ხსნარი;

გ) კოლოიდური ხსნარები;

დ) პლაზმა.

368. რა არ არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

ა) ბენზილპენიცილინის ნაგრიუმის ან კალიუმის მარილი ინიშნება ვენაში 200 000- 400 000- 500 000 ერთკგ დღე-ღამეში;

\*ბ) პენიცილინით მკურნალობის ხანგრძლივობა ხშირად შეადგენს 15 - 20 დღე და მეტი;

გ) ჰიპერკალიემიის თავიდან აცილების მიზნით ზოგჯერ იხმარება ბენზილპენიცილინის ნაგრიუმის მარილი;

დ) პენიცილინის ენდოლუმბალური შეყვანა არ არის რეკომენდებული;

369. ინფექციურ-ტოქსიური შოკის სამკურნალოდ არ გამოიყენება:

ა) კატექოლამინები;

ბ) კორტიკოსტეროიდები;

\*გ) შარღმდენები;

დ) კრისტალოიდური და კოლოიდური ხსნარები.

370. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

ა) მენინგოკოკემიის დროს ჰეპარინის დანიშვნა უმჯობესია კრიოპლაზმის ფონზე;

ბ) ჰეპარინრემისტენგული შემთხვევების დროს რეკომენდებულია ანტირომბინ-III-ის კონცენტრატის ვენაში შეყვანა;

გ) ჰიპერჰიდრატაციის და გვინის შემუშავების პროფილაქტიკის მიზნით (არაცერებრული კოლაფსით მიმდინარე შემთხვევებში) გამოიყენება ლამიქსი, ზოგჯერ -მანიიგი;

დ) კრუნჩხვების შემთხვევაში ინიშნება სელუქსენი;

\*ე) ყველა ზემოთ აღნიშნული.

371. რა არის სწორი მენინგოკოკური ინფექციის შესახებ?:

ა) თუ ვაქცინაცია ხუთი წლის ასაკის მერეა ჩატარებული, რევაქცინაცია ტარდება 5 წლის შემდეგ;

ბ) მომრდილთა რევაქცინაცია 5 წელს აღრე საჭირო არ არის;

გ) A მენინგოკოკის საწინააღმდეგოდ ვაქცინა მუშაობს სამი თვის ასაკიდან;

\*დ) ყველა ზემოთ აღნიშნული.

372. ფსევდოტუბერკულოზის გამომწვევი მიეკუთვნება:

ა) გრამდადებით ჩხირებს;

\*ბ) გრამუარყოფით ჩხირებს;

გ) გრამდადებით კოკს;

დ) გრამუარყოფით კოკს.

373. ფსევდოტუბერკულოზისათვის დამახასიათებელია:

ა) კონიუნქტივიტი;

ბ) ჰეპატო-ლიენალური სინდრომი;

გ) კაპიუშონის, ხელთათმანის, წინლების სიმპტომები;

დ) "ქოლოსებრი" ენა;

\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

374. ფსევდოტუბერკულოზისათვის დამახასიათებელია:

\*ა) ლეიკოციტოზი მონოციტოზით;

ბ) ლეიკოპენია ლიმფოციტოზით;

გ) ნორმალური ჰემოგრამის სურათი;

დ) პერიფერიულ სისხლში ბლასტური უჯრედების არსებობა.

375. მკვეთრი ჰიპოვოლემიის დროს ერთროციტების რაოდენობა:

ა) მცირდება;

\*ბ) მაგულობს;

გ) არ იცვლება.

376. დიფ. დიაგნოზი ფსევდოტუბერკულოზის დროს არ ტარდება:

ა) ქენტრუშისტან;

ბ) სეფსისტან;

გ) ტიურ-პარატიურ დაავადებებთან;

\*დ) ლეიკოზთან.

377. ფსევდოტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენება:

ა) ანტიბიოტიკები;

ბ) კოლოიდური და კრისტალური ხსნარები;

გ) ანტიჰისტამინური პრეპარატები და ვიგამინები;



სტაფილოკოკური მტარებლობა;

- ბ) ხახიდან მიღებული სტაფილოკოკის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა იზრდება, თუ იგი წარმოადგენს კოაგულაზაპროდუცირებელ ოქროსფერ სტაფილოკოკს;
- გ) შოგიერთ პნევმონიის შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს დიფ. დიაგნოზი ფსევდომონათი, კოლი- და ენტერობაქტერიებით გამოქვეულ პნევმონიასთან;
- დ) არც ერთი;
- \*ე) ყველა სწორია

389. რა არ არის სწორი სტაფილოკოკური ინფექციის შესახებ:

- ა) სტაფილოკოკური პნევმონია ბავშვებში და განსაკუთრებით ჩვილებში, საჭიროებს გადაუღებელ თერაპიას, რადგან ამ დროს სიკვდილიანობა მაღალია;
- ბ) მძიმე სტაფილოკოკურ ინფექციას იწვევს პენიცილინრეზისტენტული კოაგულაზაპოზიტიური სტაფილოკოკი და საჭიროა მკურნალობა ჩატარდეს პენიცილინაზა რეზისტენტული პენიცილინით;
- \*გ) MRSA- მეტიცილინრეზისტენტული სტაფილოკოკი გამოიჩინება კარგი მგრძობელობით ანტიბიოტიკებისადმი;
- დ) ჰოსპიტალური სტაფილოკოკი ხშირად წარმოადგენილია MRSA-თი.

390. რა არის სწორი სტაფილოკოკური ინფექციის შესახებ:

- \*ა) სტაფილოკოკური ინფექცია შეიძლება მიმდინარეობდეს ქუთურუშისებრი კლინიკით;
- ბ) როგორც წესი სტაფილოკოკური ინფექციის " ქუთურუშისებრი" მიმდინარეობის დროს აღინიშნება გაძლიერებული ფორფიგისებრი აქერცვლა, დესკვამაცია კი 3-4 კვირა გრძელდება; ენა ყოლოსებრი რჩება 5 კვირა;
- გ) გოქსიკური შოკის სინდრომი მიმდინარეობს ქუთურუშისებრი გამოჩაყართ, სკლერების ინიცირებით, აღინიშნება ჩირქოვანი მენინგიტი.

391. რა არის სწორი სტაფილოკოკური ინფექციის შესახებ. გოქსიკური შოკის სინდრომის გამომწვევია:

- ა) S. epidermidis;
- ბ) S. saprophyticus;
- \*გ) S. aureus I ჯგუფის ფაგის.

392. რა არის სწორი სტაფილოკოკური ინფექციის შესახებ:

- ა) გრაქეტი სტაფილოკოკური ინფექციის ერთ-ერთი ფორმაა;
- ბ) გრაქეტი დიფ. დიაგნოზი უნდა ჩატარდეს კრუპთან, ეპიგლოტიტთან;
- გ) სტაფილოკოკური გრაქეტი დროს ფიქრობენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიბიოტიკების გამოყენებას;
- \*დ) ყველა სწორია

393. ცხელება არ ახასიათებს:

- \*ა) ბოტულიზმი;
- ბ) დიფთერიას;
- გ) ტულარემიას;
- დ) პარტახტიან გიფს;
- ე) ქუცხელებას.

394. სტრეპტოკოკი:

- \*ა) გრამდადებითი ბაქტერიაა;
- ბ) გრამუარყოფითი ბაქტერიაა;
- გ) დიპლოკოკია;
- დ) ვიბრიონია;
- ე) ვირუსია.

395. სტრეპტოკოკური ინფექციის გადაცემის მექანიზმი შეიძლება იყოს:

- ა) ჰაერ-წვეთოვანი;
- ბ) კვებითი;
- გ) კონტაქტური;
- დ) ვერტიკალური;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია

396. სტრეპტოკოკური ინფექციის გადაცემის შემდეგ შეიძლება გამოემუშავდეს:

- ა) ანტიბაქტერიული იმუნიტეტი;
- ბ) ანტიგოქსიური იმუნიტეტი;
- გ) იმუნიტეტი არ გამოემუშავდება;
- \*დ) გამოემუშავდება როგორც ანტიბაქტერიული, ასევე ანტიგოქსიური იმუნიტეტი;

397. ნაყოფის სტრეპტოკოკური დაინფიცირებისას კლინიკა მანიფესტირდება:

- \*ა) ახალშობილობის პირველ 5 დღეში;
- ბ) ახალშობილობის პირველი კვირის შემდეგ;
- გ) ახალშობილობის პირველი თვის შემდეგ;
- დ) კლინიკურად არასოდეს არ მანიფესტირდება.

398. სტრეპტოკოკური ინფექციის არ ახასიათებს:

- ა) მიღრეკილება დაჩირქებისადმი;
- ბ) გენერალიზაცია;
- \*გ) ლეიკოპენია, დაბალი ელსი;
- დ) სხვადასხვა ინტენსივობის გემპერაგურული რეაქცია.

399. რომელი ბაქტერია არ წარმოქმნის ენგეროტოქსინს ?

- ა) სალმონელა ;
- \*ბ) სტრეპტოკოკი ;
- გ) შიგელა ;
- დ) ქოლერის ვიბრიონი ;
- ე) სტაფილოკოკი.

400. დეკომპენსირებული მეტაბოლური აციდოზის დროს pH-ის მაჩვენებელი:

- ა) მომაგებულია;
- ბ) ნორმის ფარგლებშია;
- \*გ) დაქვეითებულია.

401. სუნთქვის მწვავე უკმარისობის დროს:

- \*ა) pCO<sub>2</sub> მომაგებულია;
- ბ) pCO<sub>2</sub> ნორმის ფარგლებშია;
- გ) pCO<sub>2</sub> დაქვეითებულია.

ბავშვთა მწვავე რესპირატორული ინფექციები

402. აღნოვირუსული ინფექცია (აღნიშნეთ სწორი პასუხი):

- ა) მწვავე რესპირაციულ ვირუსული დაავადებაა;
- ბ) ხასიათდება გემპერაგურით, ზემო სასუნთქი გზების დაზიანებით, კონიუნქტივით, ლიმფური კვანძების გადიდებით;
- გ) მოგვჯერ იწვევს მწვავე ღია რეაქციას, ენცეფალომიელიტს, კერატოკონიუნქტივიტს;
- \*დ) ყველა სწორია.

403. აღნიშნეთ არასწორი პასუხი: აღნოვირუსული ინფექციის გამომწვევი ვირუსი

- ა) დნმ-ის შემცველი ვირუსია;
- ბ) გრიპის ეპიდემიისას ავადმყოფი ბავშვები არ დაიშვებ;
- \*გ) მისი ყველა სეროტიპი ადამიანში პათოლოგიის გამომწვევია.

404. აღნოვირუსული ინფექციისას:

- ა) ინფექციის წყაროს წარმოადგენს ვირუსმტარებელი ან ავადმყოფი ადამიანი;
- ბ) ვირუსის შეჭრა ხდება ზემო სასუნთქი გზების, კონიუნქტივისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსიდან;
- გ) დაავადება იწყება მწვავედ, თუმცა სხვადასხვა სიმპტომი შეიძლება განვითარდეს არაერთდროულად;
- \*დ) სწორია ყველა;
- ე) ყველა არასწორია.

405. აღნიშნეთ არასწორი პასუხი: აღნოვირუსული ინფექციისას

- ა) შეიძლება დაზიანდეს როგორც ზემო, ასევე ქვემო სასუნთქი გზები;
- ბ) დამახასიათებელი სიმპტომია კონიუნქტივიტი;
- \*გ) არასოდეს არ ვითარდება გასტროენტერიტი;
- დ) ყველა არასწორია.

406. აღნოვირუსული ინფექციისას ღია რეაქციის დასაძლევად :

- ა) ვირუსის ნახვა შეიძლება უჯრედულ კულტურებში (მასალა ხახიდან, თვალისგან, განაწვიდან);
- ბ) გამოიყენება იმუნური ანალიზი;
- გ) გამოიყენება კომპლემენტ-ფიქსაციის, იფა-მეთოდები ანტისხეულების დასადგენად;
- \*დ) სწორია ყველა.

407. რომელია არასწორი პასუხი. გრიპი წარმოადგენს:

- ა) მაღალკონტაგიოზურ ინფექციას;
- ბ) მწვავე ინფექციას;
- გ) ვირუსულ ინფექციას;
- \*დ) ქრონიზაციისაკენ მიღრეკილ ინფექციას;
- ე) ინფექციას, რომელსაც ახასიათებს საერთო ინტოქსიკაცია და ძირითადად სასუნთქი გზების დაზიანება.

408. რომელია არასწორი პასუხი:

- ა) გრიპის ვირუსი მიეკუთვნება ორთომიქსოვირუსების კლასს;
- ბ) გრიპის ვირუსი რნმ-ის შემცველია;
- \*გ) გრიპის ვირუსის ანტიგენებს ცვალებადობა არ ახასიათებს, რითაც ახსნება გრიპის ვირუსის ქვეტიპების სიმცირე;
- დ) გრიპის პანდემიები დაკავშირებულია ვირუსის ახალი ქვეტიპის გავრცელებასთან.

409. გრიპის დროს ინფექციის წყაროა:

- \*ა) გრიპით დაავადებული ადამიანი;
- ბ) გრიპის ქრონიკული ვირუსმტარებელი;
- გ) ფეხსახსრიანი მწერები.

410. რომელია არასწორი - გრიპის დროს ინფექცია შეიძლება გადაეცეს:

- ა) ინკუბაციური პერიოდის დამთავრების თანავე;
- ბ) ცხელების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- გ) ორგანიზმში ვირუსის პერსისტირების მანძილზე;
- \*დ) ქრონიკული მტარებლობისას.

411. გრიპს ახასიათებს:

- ა) პანდემიები;
- ბ) სემონურობა მამთარ-მაფხულის პერიოდში (ზომიერი კლიმატის ქვეყნები);
- გ) თითქმის საყოველთაო ხასიათი ყველა ასაკისათვის;
- დ) დაბალი ავადობის მაჩვენებელი პირველი თვეების ჩვილ ბავშვებში;
- \*ე) ყველა პასუხი სწორია.

412. გრიპის დროს:

- ა) ვირუსის შეჭრა და რეპროდუქცია ხდება ზემო სასუნთქი გზების ეპითელიუმში;
- ბ) ადგილობრივი მორფოლოგიური ცვლილებები კლინიკურად გამოვლინდება ზემო სასუნთქი გზების კატარით;
- გ) განვითარებული ვირუსემია განაპირობებს საერთო ინტოქსიკაციის მოვლენებს;
- დ) საერთო ინტოქსიკაციის შედეგად შესაძლოა კაპილარების და პრეკაპილარების პარეზი;
- \*ე) ყველა ჩამოთვლილი

413. გრიპის დროს განვითარებული პნევმონიები შეიძლება იყოს:

- ა) ვირუსული ბუნების;
- ბ) ვირუსულ-ბაქტერიული ან ბაქტერიული;
- \*გ) ორივე სწორია.

414. ინკუბაციური პერიოდი გრიპის დროს გრძელდება:

- \*ა) რამდენიმე საათიდან 3-4 დღემდე;
- ბ) 1 კვირის განმავლობაში;
- გ) არაუმეტეს 1 დღისა.

415. რა არ ახასიათებს გრიპს:

- ა) ინტოქსიკაცია, ტემპერატურის მომატება;
- ბ) თავის, კუნთების, თვალების ტკივილი;
- გ) ზემო სასუნთქი გზების კატარის განვითარება;
- \*დ) ტიპური გამონაყარი შემდგომი პიგმენტაციითა და აქერცვლით;
- ე) კრუპის განვითარება.

416. გრიპის დიაგნოსტიკისათვის არ იყენებენ:

- ა) სეროლოგიურ მეთოდს;
- ბ) ვირუსოლოგიურ მეთოდს;
- გ) რადიომუნოლოგიურ ანალიზს;
- \*დ) ბაქტერიოლოგიურ ანალიზს.

417. გრიპისათვის დამახასიათებელია:

- ა) მწვავედ დაწყება;
- ბ) საერთო ინტოქსიკაციის მოვლენები დაავადების პირველივე დღიდან;
- გ) ზემო სასუნთქი გზების ზომიერი კატარი;
- დ) დაავადების შედარებით ხანმოკლე მიმდინარეობა (გართულებების არარსებობა).;
- \*ე) ყველა სწორია

418. აღნიშნეთ არასწორი ფრაზა:

- \*ა) გრიპის ნებისმიერი სიმძიმის დროს აუცილებელია ავადმყოფის გოსპიტალიზაცია;
- ბ) ჰოსპიტალიზაციისას გრიპით ავადმყოფები თავსდებათ ბოქსირებულ ან ნახევრდბოქსირებულ განყოფილებებში;
- გ) გრიპის პროგნოზი კეთილსაიმედოა;
- დ) პროგნოზის სერიოზულობას განსაზღვრავს პრემორბიდული ფონი და გართულებები.

419. გრიპით დაავადებისას ავადმყოფს ანტიბიოტიკი ენიშნება:

- ა) პროფლაქტიკის მიზნით, გართულების თავიდან ასაცილებლად;
- \*ბ) ბაქტერიული ფლორით გამოწვეული გართულებებისას;
- გ) დაავადების ნებისმიერი სიმძიმით მიმდინარეობისას, ინფექციის გავრცელების შეზღუდვის მიზნით.

420. გაურთულებელი გრიპის მკურნალობა არ ითვალისწინებს:

- ა) მაღალკალორიულ დიეტას უხვი სითხეებით;
- ბ) სიმპტომურ მკურნალობას, ვიკამინოთერაპიას;

გ) გრიპის საწინააღმდეგო სინთეზური პრეპარატები;  
\*დ) ანტიბიოტიკოთერაპიას.

421. კრუპის სინდრომისთვის არ არის დამახასიათებელი:

- ა) ხმის გემბრის შეცვლა „მყეფავი ხველა“;
- ბ) სტენოზური სუნთქვა;
- გ) ჩასუნთქვის გაძნელება;
- \*დ) ამოსუნთქვის გაძნელება.

422. ინაქტივირებული პოლივალენტური ვაქცინით გრიპის სპეციფიკური პროფილაქტიკის უკუჩვენებაა:

- ა) აივ-ინფექცია;
- ბ) სისხლის დაავადებები;
- \*გ) ორგანიზმის ინდივიდუალური მიუღებლობა, ჰიპერერგიული რეაქცია;
- დ) 6 თვის ზემოთ;
- ე) იმუნოსუპრესიული თერაპია.

423. აღნიშნეთ არასწორი პასუხი:

- ა) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;
- ბ) გრიპის დროს პროფილაქტიკური ღონისძიებები ითვალისწინებს ოთახის განიავებას, დაღაგებას სველი წესით;
- გ) გრიპით ავადმყოფის პალატის დეზინფექცია წარმოებს ულტრაიისფერი სხივებით;
- \*დ) გრიპის გადატანის შემდეგ იმუნიტეტი ხანგრძლივია;
- ე) გრიპის სპეციფიკური პროფილაქტიკა ხანგრძლივ იმუნიტეტს ვერ უზრუნველყოფს.

424. ხორხის მწვავე სტენოზი შეიძლება განვითარდეს:

- ა) ალერგიული წარმოშობის დაავადების დროს;
- ბ) ფლეგმონური ლარინგიტის;
- გ) ქიმიური დამწვრობის;
- დ) უცხო სხეულის;
- \*ე) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

425. რომელ მწვავე რესპირატორული ინფექციის დროს შეიძლება განვითარდეს კრუპის სინდრომი:

- ა) გრიპი;
- ბ) პარაგრიპი;
- გ) ადენოვირუსული ინფექცია;
- \*დ) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

426. რამდენად სწორია, რომ ეპიგლოტიტი ეს იგივეა, რაც:

- ა) ლარინგიტი;
- ბ) ლარინგოტრაქეიტი;
- გ) ლარინგოტრაქეობრონქიტი;
- \*დ) ხორხსარქველის ანთება.

427. გართულების გარეშე მიმდინარე კრუპის სინდრომის დროს გამოიყენება:

- ა) ანტიბიოტიკი;
- ბ) სულფანილამიდები;
- გ) ანტიბიოტიკი და სულფანილამიდები;
- \*დ) არცერთი.

428. ვირუსული კრუპის სინდრომის დროს გამოიყენება:

- ა) ინჰალაცია ორთქლით;
- \*ბ) ინჰალაცია ეპინეფრინით;
- გ) ინჰალაცია ტრიპსინით, ჰემოტრიპსინით.

429. ვირუსული კრუპის სინდრომის ყველაზე ხშირი ეტიოლოგიური ფაქტორია:

- ა) გრიპი;
- \*ბ) პარაგრიპი;
- გ) ადენოვირუსული ინფექცია;
- დ) რინოვირუსული ინფექცია.

430. ვირუსული კრუპის სინდრომი ყველაზე ხშირად გვხვდება:

- ა) 3 თვემდე;
- \*ბ) 3 თვიდან 5 წლამდე;
- გ) 5 წლის ზევით.

431. ვირუსული ეტიოლოგიის კრუპის სინდრომის დროს დიფ. დიაგნოზი უნდა გატარდეს:

- ა) ხორხის ლიფტერიასთან;
- ბ) ხორხის უკანა აბსცესთან;
- გ) უცხო სხეულთან;

- დ) ეპიგლოტიტთან
- \*ე) სწორია ყველა

432. კრუპის სინდრომის დროს რა შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს ინტუბაცია შემდეგ გრახეოსტომია:

- ა) როცა ეხნგბადით ინჰალაცია არ იძლევა შედეგს;
- ბ) როცა ეპინეფრინით ინჰალაცია არ იძლევა შედეგს;
- გ) როცა კორტიკოსტეროიდებით მკურნალობა არ იძლევა შედეგს;
- \*დ) როცა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არ იძლევა შედეგს.

433. პარაგრიპის გამომწვევი მიეკუთვნება:

- \*ა) პარამიქსოვირუსებს;
- ბ) ჰერპესვირუსებს;
- გ) ენტეროვირუსებს;
- დ) რაბდოვირუსებს.

434. რომელი მსჯელობაა სწორი პარაგრიპის დროს:

- ა) ინფიცირება ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით;
- ბ) ინფექციას ახასიათებს სპორადული შემთხვევები და აფეთქებები ორგანიზმებულ ბაგშითა კოლექტივებში;
- გ) პარაგრიპის ვირუსი იწვევს კრუპის მძიმე ფორმებს;
- \*დ) ყველა სწორია.

435. პარაგრიპისთვის ტიპურია:

- \*ა) ლარინგიტი;
- ბ) ბრონქიტი;
- გ) ბრონქიოლიტი;
- დ) პნევმონია.

436. როგორია იმუნიტეტი პარაგრიპის დროს:

- \*ა) ხანმოკლეა და ეცემა რეკონვალესცენციის პერიოდში;
- ბ) ერთი წლის განმავლობაში არ ხდება დასნებოვნება;
- გ) იმუნიტეტი მყარია, განმეორებითი დაავადების შემთხვევები იშვიათია.

437. რას უდრის ინკუბაციური პერიოდი პარაგრიპის დროს:

- ა) რამდენიმე საათს;
- ბ) 1-2 დღე;
- \*გ) 2-7 დღე;

438. პარაგრიპს ახასიათებს:

- ა) ძლიერი ინტოქსიკაციის მოვლენები;
- \*ბ) ინტოქსიკაციის მოვლენები ზომიერია;
- გ) საერთოდ არ არის გამოხატული ინტოქსიკაციის მოვლენები;
- დ) ხშირია დაავადების ჰიპერტოქსიკური ფორმები.

439. პარაგრიპს უპირატესად ახასიათებს:

- ა) მშრალი ხველა;
- ბ) პროდუქციული ხველა;
- \*გ) უხეში მყეფავი ხასიათის ხველა;
- დ) სპაზმური ხასიათის შეტევითი ხველა.

440. პარაგრიპული კრუპისთვის დამახასიათებელია:

- ა) უეცრად ღამით განვითარება;
- ბ) დაავადების უკუგანვითარებისას კრუპის სინდრომის სწრაფი მოხსნა;
- \*გ) ორივე სწორია;
- დ) ორივე შეცდომაა.

441. პარაგრიპის მკურნალობისას უპირატესობა ენიჭება:

- ა) ანტიბიოტიკის გამოყენებას;
- \*ბ) ინჰალაციას ეპინეფრინით;
- გ) სულფანილამიდებს;
- დ) ანტიპირეტიკებს.

442. ვირუსული კრუპის სინდრომის მკურნალობაში წამყვანია:

- ა) ეტიოტროპული;
- \*ბ) პათოგენზური;
- გ) სიმპტომური.

443. რეოვირუსის გამომწვევი მიეკუთვნება:

- ა) ჰერპესვირუსებს;



- ბ) რინოვირუსებს;
- გ) ენტეროვირუსებს;
- \*დ) საკუთრივ რეო- და როტავირუსებს.

444. აღენოვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელი სინდრომია:

- \*ა) ფარინგიტი;
- ბ) ბრონქიტი;
- გ) სკლერიტი;
- დ) ლარინგიტი;
- ე) გრაქეიტი.

445. რესპირაციულ სინციტიური ვირუსი მიეკუთვნება:

- \*ა) პარამიქსოვირუსებს;
- ბ) ჰერპესვირუსებს;
- გ) ორთომიქსოვირუსებს.

446. რესპირაციულ სინციტიური ინფექციის წყაროა:

- \*ა) აღამიანი;
- ბ) გარეული ცხოველები;
- გ) შინაური ცხოველები;
- დ) ყველა სწორია.

447. რესპირაციულ სინციტიური ინფექციისთვის უპირატესად დამახასიათებელია:

- ა) რინიტი;
- ბ) ფარინგიტი;
- გ) ლარინგიტი;
- \*დ) ბრონქიოლიტი.

448. რინოვირუსული ინფექცია:

- \*ა) გემო სასუნთქი გზების დაზიანებაა;
- ბ) საჭმლის მომნელებელი გრაქის დაზიანებაა;
- გ) კანის საფარველის დაზიანებაა;
- დ) ცნს-ის პათოლიგიაა.

449. რინოვირუსული ინფექცია:

- \*ა) ანთროპონოზული დაზიანებაა;
- ბ) მონონოზული დაზიანებაა;
- გ) ანთროპოზონოზული დაზიანებაა.

450. რინოვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელია:

- ა) მაღალი ცხელება და გოქსიკოზი;
- \*ბ) რინორეა და იშვიათი ხველა;
- გ) ღიარეა;
- დ) ტონზილიტი;

ბავშვთა ვირუსული ინფექციები

451. ციტომეგალოვირუსით ავადდება:

- \*ა) აღამიანი;
- ბ) მაიმუნი;
- გ) შინაური ცხოველი;
- დ) მღრღნელები.

452. CMV-ის ინფექციის დაზიანების წყაროა:

- ა) ავადმყოფი;
- ბ) ვირუსმტარებელი;
- \*გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.

453. CMV-ით ინფიცირება ხდება:

- ა) კონტაქტური გზით;
- ბ) ჰაერ-წვეთოვანი გზით;
- გ) გრანსპლაცენტურად;
- დ) ინტრანატალურად;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გზებით.

454. CMV არსებობს შემდეგი ფორმებით:

- ა) შექნილი;
- ბ) თანდაყოლილი;

\*გ) ორივე ფორმით.

455. თანდაყოლილი CMV-თვის არაიშვიათია:

- ა) მხედველობის დაკარგვა;
- ბ) სმენის დაქვეითება;
- გ) ჰიდროცეფალია;
- დ) აორტის სარქველის უკმარისობა;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

456. CMV-ინფექცია შეიძლება მიმდინარეობდეს:

- ა) ლოკალური ფორმით;
- ბ) გენერალიზებულად;
- გ) ლატენცურად;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმით.

457. დიფ. დიაგნოზი CMV-ინფექციისას არ ტარდება:

- ა) გოქსოპლამზომთან;
- ბ) წითურასთან;
- გ) მარტივ ჰერპესთან;
- დ) ბაქტერიულ სეფსისთან;
- \*ე) ენცეფალიტი

458. შეიძენილი CMV-ინფექციის ფორმებია:

- ა) ფილტვის;
- ბ) ნერვული სისტემის;
- გ) თირკმლის;
- დ) ღვიძლის;
- \*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

459. 0. CMV-ინფექციის სამკურნალოდ არ გამოიყენება:

- \*ა) ანტიბიოტიკი;
- ბ) ანტივირუსული პრეპარატი;
- გ) პროტეოლიზური ფერმენტების ინჰიბიტორები;
- დ) CMV-იმუნოგლობულინი;

460. შეიძენილი CMV-ინფექციის მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან:

- ა) მობარლები;
- ბ) მრდასრული მოსახლეობა;
- \*გ) იმუნოკომპრომენტირებული ორგანიზმი;
- დ) 1 წლამდე ასაკის ბავშვები.

461. ეპიდემიური პაროტიგის გამომწვევი მიეკუთვნება:

- ა) ორთომიქსოვირუსებს;
- \*ბ) პარამიქსოვირუსებს;
- გ) პიკორნავირუსებს;
- დ) ჰერპესვირუსებს.

462. ეპიდემიური პაროტიგი:

- \*ა) ანთროპონოზული დაავადებაა;
- ბ) მონონოზული დაავადებაა;
- გ) ანთროპო-მონონოზური დაავადებაა.

463. ეპიდემიური პაროტიგის ვირუსს ახასიათებს გროპიზმი:

- ა) ყბაყურა და სანერწყვე ჯირკვლების მიმართ;
- ბ) სათესლე ჯირკვლების და საკვერცხეების მიმართ;
- გ) ცნს-ის მიმართ;
- დ) პანკრეასის მიმართ;
- \*ე) ყველა ზემოთჩამოთვლილის მიმართ.

464. ინკუბაციური პერიოდი ეპიდემიური პაროტიგის დროს მერყეობს:

- ა) 1-7 დღე;
- \*ბ) 14-24 დღე;
- გ) 1 თვე;
- დ) 2- 5 დღე.

465. ეპიდემიური პაროტიგის დროს პერიფერიულ სისხლში აღინიშნება:

- ა) ლეიკოციტოზი ლიმფოციტებით;
- ბ) ლეიკოციტოზი ლიმფოციტოზით;

- გ) ლეიკოციტოზი მონოციტოზით;
- დ) ლეიკოპენია ლიმფოციტოზით;
- \*ე) ლეიკოპენია ლიმფოციტოზით.

466. ეპიდემიური პაროტიტის სამკურნალოდ გამოიყენება:

- ა) ანტიბიოტიკი;
- ბ) ინტერფერონის პრეპარატები;
- გ) სეროთერაპია;
- \*დ) არცერთი ზემოთხაზოთვლილი.

467. ეპიდემიური პაროტიტის პროფილაქტიკისათვის გამოიყენება:

- ა) ანტიბიოტიკები;
- ბ) ანტიგოქსინი;
- \*გ) ატენუირებული ცოცხალი და კომბინირებული ვითელა, ვითურა, პაროტიტის ვაქცინა;

468. რა არის სწორი HSV-ს ( მარტივი ჰერპესული ინფექცია). შესახებ:

- ა) HSV კლინიკურად ვლინდება მთელი ორგანიზმისა და ქსოვილების დაზიანებით ( ლორწოვანი, კანი, სასქესო ორგანოები);
- ბ) HSV ხშირად მიმდინარეობს ბუშტუკოვანი გამონაყარით კანზე და ლორწოვანზე და ახასიათებს ლატენტური მიმდინარეობა პერიოდულ რეციდივებით;
- გ) HSV-თვის პათოგენური ნიშნია აცილოფილური ჩანარტოვები დაზიანებული ქსოვილის ბირთვში;
- დ) მარტივი ჰერპესის გამომწვევა- ჰერპესიფერუსის hominis - herpes simplex virus - HSV;
- \*ე) ყველა ზემოთ აღნიშნული.

469. რა არის სწორი HSV-ს შესახებ:

- ა) HSV-ის პირველადი ინფექცია ყალბდება ადამიანის პირველადი კონტაქტით ავადმყოფთან ან ვირუსტარებულთან;
- ბ) პირველადი ინფექციის დროსაც ახალშობილებსა და ჰიპოტროფიულ ბავშვებში ვითარდება მძიმე ინფექციური პროცესი, ხშირად ადგილობრივი ცვლილებების გარეშე, დაავადება შეიძლება დამთავრდეს სიკვდილით;
- \*გ) ყველა ზემოთ აღნიშნული.

470. რა არის სწორი HSV-ის შესახებ:

